საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 293

2012 წ. "4" 10

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) (საიდენტიფიკაციო კოდი: 204902203) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 4 ოქტომბრის №23 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია